დანართი №1
დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს № 36/2022 (29.07.2022) დადგენილებით

ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი

პრეამბულა

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (შემდგომში კონსერვატორია) სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მოწოდებულია უზრუნველყოს და გააუმჯობესოს საკუთარი საქმიანობის ხარისხი და ხელი შეუწყოს ხარისხის კულტურის გაძლიერებას მთელ დაწესებულებაში.
კონსერვატორია, საკუთარი ტრადიციების კვალდაკვალ, აღიარებს ხარისხისაკენ სწრაფვას, როგორც ძირითად ღირებულებას.

მუხლი 1. მიზანი

წინამდებარე პოლიტიკის მიზანია ღიად გამოხატოს კონსერვატორიის ვალდებულება უზრუნველყოს და გააუმჯობესოს დაწესებულების საქმიანობის ხარისხი და ხელი შეუწყოს ხარისხის კულტურის დანერგვას მთელ დაწესებულებაში.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება ყველა სტრუქტურულ და ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე.

მუხლი 3. ხარისხის კულტურის ხელშეწყობა

1. კონსერვატორია მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხარისხის კულტურას მთელ დაწესებულებაში სხვადასხვა გზით, მათ შორის:
   ა) ინსტიტუციური ხარისხის მექანიზმებითა და პროცესებით, მათ შორის ხარისხის პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტის მეშვეობით;
   ბ)პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტის - კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების გეგმის მეშვეობით;
   გ) ინდივიდუალური საქმიანობის ხარისხზე პირადი პასუხისმგებლობის ხაზგასმით;
   დ) პერსონალისათვის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობით;
   ე) საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით და სხვ.

2. ინსტიტუციური ხარისხის მექანიზმები და პროცესები გულისხმობს:
   ა) ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტის, წესდების, მარეგულირებელი და დამხმარე დოკუმენტების განახლებასა და/ან შემუშავებას;
   ბ) წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული თვითშეფასების პროცესის დანერგვას;
   გ) საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და განვითარების პროცედურას;
   დ) გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებას;
   ე) მექანიზმების შემუშავებასა და გამოყენებას, რომლითაც ძირითადი დაინტერესებული მხარეები, განსაკუთრებით სტუდენტები, უზრუნველყოფენ უკუკავშირს კონსერვატორიის საგანმანათლებლო, საშემსრულებლო და/ან სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

მუხლი 4. როლი და პასუხისმგებლობები

1. კონსერვატორიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია საკუთარი საქმიანობის ხარისხზე, ხოლო კონსერვატორია პასუხისმგებელია მათ მხარდაჭერასა და რესურსების უზრუნველყოფაზე.
2. მთელი ინსტიტუციის ფარგლებში ხარისხის კულტურის გამტარებელი ძირითადი ორგანოებია:
   ა) რექტორი;
   ბ) აკადემიური საბჭო;
   გ) წარმომადგენლობითი საბჭო;
   დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
   ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
   ვ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანი;
   ზ) დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;

მუხლი 5. ანგარიშვალდებულება და შეფასების კრიტერიუმები

1. კონსერვატორიის ყველა სტრუქტურული და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს (არაუგვიანეს 20 დეკემბრისა) კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გაუგზავნოს საკუთარი ერთეულის თვითშეფასების ანგარიში წინამდებარე დოკუმენტის დანართის ფორმის შესაბამისად (იხ. დანართი № 1.1).
2. თვითშეფასების ანგარიში ფასდება შემდეგი შეფასების 7 კრიტერიუმით:
   ა) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულს/ სტრუქტურულ ერთეულს განსაზღვრული აქვს თუ ვინ არის მისი ძირითადი სამიზნე ჯგუფი/ჯგუფები, რომლის მომსახურებასაც უზრუნველყოფს (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ასევე სტუდენტების) და საქმიანობისას ითვალისწინებს მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებს; ფოკუსირებულია სამიზნე ჯგუფის კმაყოფილების ზრდაზე;
   ბ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულს/ სტრუქტურულ ერთეულს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და მიმართულება; ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/ დეპარტამენტის/სამსახურის/განყოფილების თითოეულ საშტატო ერთეულზე შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქციებს, უფლებებსა და ვალდებულებებს; პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები გადანაწილებულია პოზიციებს შორის; ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/ სტრუქტურულს ერთეულს ფუნქციები და მიმართულება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და/ან ეროვნულ ან საერთაშორისო პრაქტიკას;
   გ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულს/სტრუქტურულ ერთეულს შემუშავებული აქვს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ინდიკატორი/ინდიკატორები. აღნიშნული ინდიკატორის/ინდიკატორების შესაბამისად ერთეული უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის გამოკითხვასა და/ან სხვა ობიექტური მტკიცებულების მოპოვებას (აზრის გამოკითხვა, ფოკუს

ჯგუფები, საჩივრები), საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიზნით და ახორციელებს საპასუხო ღონისძიებებს.

დ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/ სტრუქტურული ერთეული ყოველწლიურად განსაზღვრავს კონსერვატორიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამის სამოქმედო გეგმას; სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია რისკები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების ეფექტიან განხორციელებაზე.

ე) სამოქმედო გეგმის, კვარტლური (პროგრესანგარიში) და ყოველწლიური ანგარიშების, ასევე სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებისას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/ სტრუქტურული ერთეული განსაზღვრავს უწყვეტი განვითარების/გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს მონაცემთა ანალიზის ან/და სხვა ინსტიტუტების ანალოგიური ერთეულების პრაქტიკის გათვალისწინების გზით. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/ სტრუქტურული ერთეული აღნუსხავს უწყვეტი განვითარების/გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს და ამზადებს კვარტლურ ანგარიშებს;

ზ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/ სტრუქტურული ერთეული მხარდაჭერას უცხადებს საკუთარი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას განათლების, ტრენინგის და/ან გამოცდილების გაზიარების გზით;

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე პოლიტიკა ძალაში შედის კონსერვატორიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებებს და/ან დამატებებს მტკიცდება კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;

დანართი № 1.1.

ფორმა და კითხვები თვითშეფასებისთვის

შენიშვნა: *წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს მხოლოდ დესკრიპციული. წარმოდგენილ ნებისმიერ ინფორმაციას უნდა ახლდეს მტკიცებულება.*

1. **ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულს/ სტრუქტურულ ერთეულს განსაზღვრული აქვს თუ ვინ არის მისი ძირითადი სამიზნე ჯგუფი/ჯგუფები, რომლის მომსახურებასაც უზრუნველყოფს (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, ასევე სტუდენტების) და საქმიანობისას ითვალისწინებს მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებს; ფოკუსირებულია სამიზნე ჯგუფის კმაყოფილების ზრდაზე.**
გთხოვთ წარმოადგინოთ მცირე აღწერა თუ ვინ არის თქვენი ძირითადი სამიზნე ჯგუფი და როგორ ითვალისწინებთ მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებს სამუშაოს შესრულებისას. *დამხმარე კითხვები:* *1) დადგენილი გაქვთ თუ არა ვინ არის თქვენი სამიზნე ჯგუფი/ჯგუფები, ძირითადი მომხმარებლები ინსტიტუციის შიგნით?* *2) კონსერვატორიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის რა სტრატეგიული მიზანი უდევს საფუძვლად თქვენი ერთეულის სამიზნე ჯგუფის კმაყოფილების ზრდას? როგორ ახდენთ ფოკუსირებას სამიზნე ჯგუფის კმაყოფილების ზრდაზე?*
მტკიცებულებები:
2. **ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულს/ სტრუქტურულ ერთეულს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და მიმართულება; ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/ დეპარტამენტის/სამსახურის/განყოფილების თითეულ საშტატო ერთეულზე შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქციებს, უფლებებსა და ვალდებულებებს; პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები გადანაწილებულია პოზიციებს შორის; საქმიანობა მხარდაჭერილია ფაკულტეტის/დეპარტამენტის/სამსახურის დონის პოლიტიკის დოკუმენტებით.**
დამხმარე კითხვები: *1) როგორ უზრუნველყოფთ მარეგულირებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობასთან და ან საუკეთესო პრაქტიკებთან შესაბამისობას?* *2) არის თუ არა თქვენი ფაკულტეტის/დეპარტამენტის/სამსახურის სამუშაო პროცესები მხარდაჭერილი სამუშაო არწერილობებითა და ოპერაციული პროცედურებით (მაგ: სამოქმედო გეგმა; კომუნიკაციის პოლიტიკა და სხვ.);* *3) გაქვთ თუ არა ფაკულტეტის/დეპარტამენტის/სამსახურის/განყოფილების დონის პოლიტიკის დოკუმენტები?*

4) როგორ ხორციელდება ფაკულტეტის/დეპარტამენტის/სამსახურის დონის პოლიტიკის დოკუმენტების განახლება და/ან ახალის შემუშავება (საჭიროების შემთხვევაში)? *5) როგორ უწყობთ ხელს თანამშრომლებს შორის ღია და კონსტრუქციულ თანამშრომლობასა და ინიციატივებს?*
მტკიცებულებები:
3. **ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულს/სტრუქტურულ ერთეულს შემუშავებული აქვს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ინდიკატორი/ინდიკატორები. აღნიშნული ინდიკატორის/ინდიკატორების შესაბამისად ერთეული უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფის გამოკითხვასა და/ან სხვა ობიექტური მტკიცებულების მოპოვებას (აზრის გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფები, საჩივრები), საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მიზნით და ახორციელებს საპასუხო ღონისძიებებს.**
დამხმარე კითხვები: *1) როგორ აფასებთ თქვენი სამუშაო პროცესების ეფექტიანობას? რა ინდიკატორები გაქვთ განსაზღვრული ეფექტიანობის შესაფასებლად?* *2) შეფასებისას იყენებთ თუ არა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას (მაგ. გამოკითხვები, სტატისტიკური მონაცემები)?* *3) როგორ აგროვებთ, აანალიზებთ და იყენებთ მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თქვენი ფაკულტეტის/ დეპარტამენტის/ სამსახურის საქმიანობის გასაუმჯობესებლად?* *4) რა ცვლილებები განხორციელდა მომხმარებელთა გამოკითხვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შედეგად და როგორ აბრუნებთ უკუკავშირს?*
მტკიცებულებები:
4. **ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/ სტრუქტურული ერთეული ყოველწლიურად განსაზღვრავს კონსერვატორიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამის სამოქმედო გეგმას; სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია რისკები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების ეფექტიან განხორციელებაზე.**
დამხმარე კითხვები: *1) აყალიბებს თუ არა ფაკულტეტი /დეპარტამენტი/სამსახური ერთწლიან სამოქმედო გეგმას?* *2) განსაზღვრავს თუ არა სამოქმედო გეგმაში შესასრულებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს?* *3) როგორ ახდენთ რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ თქვენი სტრუქტურული ერთეულის სამუშაოს შესრულებაზე?* *4) რა ზომები მიიღება გამოვლენილი რისკებსა და შესაძლებლობებთან გასამკლავებლად ?*

5) როგორ აფასებთ რისკებისა და შესაძლებლობების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობას? *6) უზრუნველყოფს თუ არა ერთეული ყოველკვარტლური ანგარიშების წარდგენას?* *7) როგორ უზიარებთ თქვენი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას სხვა დაინტერესებულ მხარეებს? უზრუნველყოფთ თუ არა ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნებას კონსერვატორიის ვებგვერდზე?*
მტკიცებულებები:
5. სამოქმედო გეგმის, კვარტლური და ყოველწლიური ანგარიშების, ასევე სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშვებისას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას (საჭიროების შემთხვევაში);
დამხმარე კითხვები: *1) ჩართულია თუ არა სამოქმედო გეგმის, ყოველკვარტლური (პროგრესანგარიში) ან ყოველწლიური ანგარიშის შედგენისა და განხილვის პროცესში ფაკულტეტის / დეპარტამენტის /სამსახურის ყველა თანამშრომელი?* *2) რამდენად არიან ჩართული ფაკულტეტის /დეპარტამენტის /სამსახურის თანამშრომლები საკუთარი სტრუქტურული ერთეულის მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავების პროცესში?* *3) არიან თუ არა თქვენი თანამშრომლები ჩართულნი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო დოკუმენტების შემუშავებაში?* *4) როგორ ხდება თანამშრომელთა კომუნიკაცია და ჩართულობის უზრუნველყოფა?*
მტკიცებულებები:
6. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/ სტრუქტურული ერთეული განსაზღვრავს უწყვეტი განვითარების/გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს მონაცემთა ანალიზის ან/და სხვა ინსტიტუტების ანალოგიური ერთეულების პრაქტიკის გათვალისწინების გზით.
დამხმარე კითხვები: *1) როგორ არის გამოვლენილი ერთეულის მიერ უწყვეტი განვითარების/გაუმჯობესების შესაძლებლობები?* *2) რამდენად ხშირად და რა გზით ეცნობა ერთეული სხვა ინსტიტუციების პრაქტიკებს?*
მტკიცებულებები:
7. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული/ სტრუქტურული ერთეული ხელს უწყობს საკუთარი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას განათლების, ტრენინგის და/ან გამოცდილების გაზიარების გზით;
დამხმარე კითხვები:

1) *როგორ აგროვებთ ინფორმაციას პროფესიული განვითარების მიმართულებით თქვენი თანამშრომლების საჭიროებებისა და სურვილების შესახებ?* 2) *როგორ გეგმავთ და უზრუნველყოფთ, თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიმართულებით აქტივობებს?*
მტკიცებულებები:

ერთეულზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა _____

თარიღი:_____